იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი,

01 ოქტომბერი 2021 წელი

ერთი მხრივ, **შპს „ნიუ ლოჯისტიკს“,** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205265826) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შექმნილი და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზ., №75/8, ბინა №29, (შემდგომში „მეიჯარე“), წარმოდგენილი მისი დირექტორის იოსებ ქოქოლაძის (პირადი ნომერი: 61006000580) სახით და მეორე მხრივ, **შპს „ავერსი-ფარმა“** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 211386695) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზ., №148, (შემდგომში: „მოიჯარე“), წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის, ანა ფაღავას (პ.ნ 61001065812) სახით

„მოიჯარე“ და „მეიჯარე“ (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე როგორც „მხარე“) ორმხრივი ნების გამოვლენისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“ ან/და შეთანხმება) შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. **„ანგარიში“** – „ხელშეკრულების“ ერთ-ერთი „მხარის“ (კონტექსტის შესაბამისად) ანგარიში ბანკში;

1.2. **„ანგარიშსწორება“** – „მოიჯარის“ მიერ „მეიჯარისთვის“ „იჯარის საგნით“ სარგებლობის ღირებულების ან/და მისი ნაწილის გადახდა;

1.3. **„დავა“** – „მხარეებს“ შორის წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება, რომლის მოგვარებაც ვერ მოხერხდა ურთიერთმოლაპარაკების გზით;

1.4. **„დღე“, „კვირა“, „თვე“** – ნიშნავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრულ კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ “ხელშეკრულებით” სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

1.5. **„ინფორმაცია“** - ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის გულისხმობს ნებისმიერ მონაცემებსა და ფაქტებს, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების მხარეებთან ან/და ხელშეკრულების საგანთან, მათ შორის, კონფიდენციალური და პირადი ინფორმაცია;

1.6. **„იჯარის საგანი“**-წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღწერილი უძრავი ქონება;

1.7. **„ლარი“** – საქართველოს ეროვნული ვალუტა;

1.8. **„მხარე“** – “მეიჯარე” ან “მოიჯარე” ერთ-ერთი კონტექსტის შესაბამისად;

1.9. **„მხარეები“**– “მეიჯარე” და “მოიჯარე” ერთობლივად;

1.10. **„ფორს-მაჟორი“** – ნებისმიერი გარემოება ან შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად, არ ექვემდებარება არცერთი “მხარის” კონტროლს და რომელთა დადგომა იწვევს “ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას, მათ შორის, მაგრამ არასრულად: საომარი მოქმედებები, ამბოხება, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, გადატრიალება, აჯანყება, გაფიცვა, ლოკაუტი, წყალდიდობა, დიდთოვლობა, მეწყერი, მიწისძვრა, მიწისქვეშა წყლების შემცირება, მიწისქვეშა წყლების მიმოქცევა, გრიგალი ან სხვა სახის სტიქიური უბედურება, ხანძარი, აფეთქება, ეპიდემია ან სხვა უბედური შემთხვევა;

1.11. **„ხელშეკრულების ღირებულება“** – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს “მოიჯარემ” “მეიჯარეს”, “ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულების მთელ პერიოდზე;

1.12. **„საიჯარო ქირა“** – „მოიჯარის“ მიერ „მეიჯარისათვის“ ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი პერიოდულობით გადასახდელი ხელშეკრულების ღირებულების ნაწილი;

1.13. **„ხელშეკრულება“** – ეს ხელშეკრულება, ყველა დანართის, დამატების ან/და ცვლილებებისა ჩათვლით, რაც შესულია/მომავალში შევა “ხელშეკრულებაში” საამისოდ დადგენილი წესით და თან ერთვის/დაერთვება მას;

1.14. **„ხელშეკრულების საგანი“** – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 პუნქტში აღწერილი მომსახურება.

2. „ხელშეკრულების საგანი“

2.1 მეიჯარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით, ვადითა და სასყიდლით გადასცემს მოიჯარეს დროებით სარგებლობაში, მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას 506.00 კვ.მ ფართს (შემდგომში იჯარის საგანს ან/და უძრავი ქონება). აღნიშნული ფართი წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, განცხადების რეგისტრაციის N882019650607 გაცემული 06/09/2019 17:40:54 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. იჯარის საგნის ნაწილზე განთავსდება შპს „ავერსი-ფარმას“ აფთიაქი, რომელიც გამოყენებული იქნება შემდეგი მიზნებისათვის: სამუშაო მიზნისთვის, მომსახურების აფთიაქის პროდუქტების გაყიდვისათვის და შესაბამისი მომსახურების გასაწევად (შემდგომში იჯარის მიზანი);

2.2 “იჯარის საგანის” მახასიათებლებია:

2.2.1 ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება;

2.2.2 ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო;

2.2.3 მესაკუთრე: შპს „ნიუ ლოჯისტიკს“, (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205265826)

2.2.4 ფართი: 506.00 კვ.მ;

2.2.5 მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე , N 9 სართული1,

2.2.6 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.10.14.027.005.01.500

2.3. „მეიჯარე“ აცხადებს და ადასტურებს, რომ „იჯარის საგანი“ არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისთვის.

2.4. მხარეთა შეთანხმებით „მოიჯარე“ უფლებამოსილია გამოიყენოს „იჯარის საგანი” წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნით და განახორციელოს ყველა საჭირო და აუცილებელი ღონისძიება „იჯარის საგნით“ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით და დანიშნულებისამებრ სარგებლობისათვის;

3. „ხელშეკრულების“ ღირებულება და ანგარიშსწორება

3.1. „მოიჯარის“ მიერ „იჯარის საგნით“ 1 (ერთი) თვით სარგებლობის ღირებულება შეადგენს 5000.00 (ხუთი ათასი) აშშ დოლარს, ყველა სახელმწიფო გადასახადის მათ შორის დღგ-ს გარეშე (შემდგომში: „საიჯარო ქირა“);

3.2. „მოიჯარე“ „მეიჯარეს“ ყოველთვიურ საიჯარო ქირას გადაუხდის არა უგვიანეს ყოველი მიმდინარე თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვამდე, გადახდის დღეს საქართველოში არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ ვალუტა ლარში, უნაღდო ანგარიშსწორებით საბანკო გადარიცხვის გზით.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები თანხმდებიან, რომ 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ღირებულების გადახედვა „მხარეებს“ შეუძლიათ ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან (2021 წლის 01 ოქტომბრიდან) სამი წლის შემდეგ.

4. „მხარეთა“ უფლება–მოვალეობები

4.1. „მოიჯარე“ ვალდებულია:

4.1.1. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები;

4.1.2. უზრუნველყოს „საიჯარო ქირის“ სრულად და დროულად გადახდა წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად;

4.1.3. ისარგებლოს „იჯარის საგნით“ მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებაში განსაზღვრული მიზნით, დაიცვას „იჯარის საგნის“ მოვლისა და უსაფრთხოების წესები, (მათ შორის, მაგრამ არასრულად, ხანძარსაწინააღმდეგო, აგრეთვე „იჯარის საგნის“ შენახვისა და ექსპლუატაციის წესი) და განახორციელოს ყველა საჭირო და აუცილებელი ღონისძიება „იჯარის საგნის“ მოვლა-პატრონობის მიზნით;

4.1.4. არ დაუშვას „იჯარის საგნის“ განადგურება, დაზიანება ან ღირებულების სხვაგვარი შემცირება;

4.1.5. დაიცვას „იჯარის საგანი“ ნებისმიერი სახის დაზიანებისაგან, მისი თანამშრომლების ან მისი მომხმარებლების მიერ მიყენებული ზიანისგან და განახორციელოს აღნიშნულისთვის საჭირო ყველა გონივრული ქმედება;

4.1.6. აანაზღაუროს ყველა შესაძლო ზიანი, რაც მისი, მისი თანამშრომლების ან მისი მომხმარებლის განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად მიადგა „იჯარის საგანს“;

4.1.7. „ხელშეკრულების” ვადის გასვლის ან ნებისმიერი სხვა საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, არაუგვიანეს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის დღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, „მხარეთა“ შორის დაბრუნების შესახებ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, დაუბრუნოს „მეიჯარეს” “იჯარის საგანი” იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მას გადაეცა, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით და უძრავი ქონების ხელშეკრულების მიზნით სარგებლობისათვის დადგენილ ექსპლოატაციის ნორმების ფარგლებში. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად წინამდებარე ხელშეკრულებას დანართის სახით თან ერთვის უძრავი ქონების ამსახველი ფოტო მასალა.

4.1.8. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში სრულად დაფაროს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავალიანება, შესაძლო ხარჯი და პირგასამტეხლო, ასევე სრულად აუნაზღაუროს „მეიჯარეს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.1.9. დაუყოვნებლივ, საკუთარი ხარჯით გამოასწოროს „იჯარის საგანში“ ნებისმიერი სახის დაზიანება ან უძრავი ქონების ღირებულების შემცირება, მათ შორის უძრავ ქონებაში წყლის ჩამოსვლის, ასევე მილის გახეთქვის და ა.შ ფაქტი, რომელიც განპირობებული იქნება თავად „მოიჯარის“მიერ განხორციელებული განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით ასევე ქვემეიჯარის ან/და აფთიაქის მომხმარებლის მიერ (აეთის არსებობის შემთხვევაში); მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი მესამე პირის მიერ მიყენებული დაზიანების/უძრავი ქონების ღირებულების შემცირების შემთხვევაში მოახდენენ მყისიერ რეაგირებას და მიიღებენ ყველა საჭირო ზომას დაზიანების დროულად აღმოფხვრისთვის/შეჩერებისთვის; მხარეები თანხმდებიან, რომ ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდება დამატებით შეთანხმების გაფორმება.

4.1.10.„იჯარის საგნის“ მოიჯარის ბრალეულობით ან/და თანამშრომლის ან/და მისი მომხმარებლის მიერ დაზიანების ან/და რაიმე ფორმით ღირებულების შემცირების შემთხვევაში, „მოიჯარე“ ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს აღნიშნული დაზიანების/გაუმართაობის სრულად აღმოფხვრა/შეკეთება; იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დაზიანებული „იჯარის საგნის“ შეკეთება ან/და არსებული გაუმართაობის სრულად აღმოფხვრა, „მოიჯარე“ ვალდებულია, „მეიჯარის“ მოთხოვნის შესაბამისად, სრულად აუნაზღაუროს „მეიჯარეს“ მიყენებული ზიანი, რომლის ოდენობაც დადასტურებული იქნება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

4.2. „მოიჯარე” უფლებამოსილია:

4.2.1. ისარგებლოს „ხელშეკრულებითა“ და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებებით;

4.2.2. მოსთხოვოს „მეიჯარეს” „ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

4.2.3. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე, შეამოწმოს „იჯარის საგნის“ ნივთობრივი მდგომარეობა;

4.2.4. მოიჯარის სარგებლობაში არსებული ფართის ფასადზე (როგორც ფართის შიდა ასევე შენობის გარე კედელზე) საკუთარი ფინანსური, მატერიალური და ტექნიკური საშუალებებით საიჯარო ვადის განმავლობაში განათავსოს რეკლამა (აბრა/ბანერი, პლაკატი და ა.შ.), ასევე საჭიროებისას უზრუნველყოს მისი შეთანხმება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რასთან დაკავშირებითაც არ არის საჭირო მეიჯარის დამატებითი წერილობითი თანხმობა. მოიჯარე მის მიერ განთავსებული სარეკლამო ბანერზე თავად აგებს პასუხს ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე;

4.2.5. განახორციელოს „იჯარის საგნის“ ქვეიჯარით გაცემა თავისი შეხედულებისამებრ, ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით. ამასთან, მოიჯარე პასუხისმგებელია მეიჯარის წინაშე ქვემოიჯარის ყველა ქმედებაზე და ზიანი/ზარალზე;

4.2.6. თავისი სურვილისამებრ ,,საიჯარო ქონებაზე” დამატებით დაამონტაჟოს ყველა აუცილებელი ფუნქციონალური მოწყობილობა – დანადგარი და საოფისე ტექნიკა, ხოლო ამ ,,ხელშეკრულების” მოქმედების ვადის გასვლის ან ამ ხელშეკრულებით გათვალისიწნებულ შემთხვევაში ვადამდე შეწყვეტისას საკუთარი ხარჯებით მოახდინოს მათი დემონტაჟი ,,საიჯარო ქონების” დაუზიანებლად. მოიჯარის საკუთრებაა მთელი ის გაუმჯობესებანი, რომლებიც მან მოახდინა საიჯარო ქონებაზე სს სადაზღვევო კომპანია ალფასთან 2019 წელს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული გაუმჯობესების ჩათვლით, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მეიჯარეს არ შეიძლება რაიმე პრეტენზია/მოთხოვნა გაუჩნდეს აღნიშნულთან დაკავშირებით, ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ნებისმიერი სახით შეწყვეტის შემთხვევაში „მოიჯარის“ მიერ უძრავი ქონებიდან გაუმჯობესების დემონტაჟის/მოხსნის სამუშაოებმა არ უნდა დააზიანოს იჯარის საგანი და მისი შემადგენელი ყველა/ნებისმიერი ნაწილი (მოძრავი/უძრავი);

4.2.7. მოიჯარე უფლებამოსილია საიჯარო ფართში აწარმოოს ტელე, ვიდეო, აუდიო დაკვირვება/ტრანსლაცია და აღნიშნული მიზნით დაამონტაჟოს/განათავსოს საიჯარო ფართში აუცილებელი მოწყობილობები, რაზეც „მეიჯარე“ აცხადებს თანხმობას. ხოლო ამ ,,ხელშეკრულების" მოქმედების ვადის გასვლის ან ამ ხელშეკრულებით გათვალისიწნებულ შემთხვევაში ვადამდე შეწყვეტისას საკუთარი ხარჯებით მოახდინოს მათი დემონტაჟი ,,საიჯარო ქონების" დაუზიანებლად

4.3. „მეიჯარე“ ვალდებულია:

4.3.1 ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.3.2 ხელი არ შეუშალოს „მოიჯარეს'' „ხელშეკრულებით'' გათვალისწინებული პირობებით „იჯარით საგნით'' სარგებლობაში;

4.3.3 ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში გადასცეს „მოიჯარეს“ „იჯარის საგანი“ სარგებლობის უფლებით;

4.3.4 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მეიჯარე ვალდებულია აცნობოს მოიჯარეს ყველა სახის ცვლილების შესახებ რაც დაკავშირებულია იჯარის წესით გაცემულ ფართთან ან მეიჯარის სამართლებრივ სტატუსთან (მათ შორის ინფორმაცია მეიჯარის სამართლებრივი სტატუსის შეცვლის, რეკვიზიტებში ცვლილების განხორციელების და ა.შ. შესახებ) კონკრეტული ცვლილების განხორციელებამდე ან ცვლილების განხორციელებიდან ერთი თვის განმავლობაში იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ცვლილებების შესახებ შეუტყობინებლობის ან არადროულად შეტყობინების შედეგად მოიჯარეს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი, მოიჯარე უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია აუნაზღაუროს „მოიჯარეს“ მიყენებული ზარალი/ზიანი სრული მოცულობით.

4.3.5 გადასცეს „მოიჯარეს“ იჯარის საგანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და იჯარის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა.

4.4. „მეიჯარე“ უფლებამოსილია:

4.4.1. მოსთხოვოს „მოიჯარეს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების/პირობების სრულად და ჯეროვნად შესრულება;

4.4.2. მოითხოვოს „მოიჯარის“ მიერ „საიჯარო ქირის“ დროულად, შეთანხმებული ოდენობითა და ფორმით დაგახდა;

4.4.3. „მოიჯარის" წინასწარ 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე შეტყობინების შემდეგ მოახდინოს „იჯარის საგნის" დათვალიერება ან/და შემოწმება;

4.4.4. იმ შემთხვევაში, თუ „იჯარის საგნის" დათვალიერების ან/და შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ „იჯარის საგანი“ არის დაზიანებული, განადგურებული რაც დადასტურდება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" დასკვნით მოიჯარე ვალდებული იქნება განახორციელოს აღნიშნული დაზიანების აღმოფხვრა საიჯარო საგნის მეიჯარისათვის გადაცემისას.

4.4.5. „მოიჯარის“ თანხმობის გარეშე, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი პირისგან, მათ შორის ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულებიდან/ადმინისტრაციული ორგანოდან, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან გამოითხოვოს ყველა სახის ინფორმაცია/დოკუმენტაცია „იჯარის საგნის" შესახებ;

5. „მხარეთა“ განცხადებები და გარანტიები

5.1. „მეიჯარე“ აცხადებს და ადასტურებს, რომ „მეიჯარემ“ „მოიჯარეს“ სრულყოფილად მიაწოდა ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია „იჯარის საგნის“ ნივთობრივი და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და „იჯარის საგანს“ არ გააჩნია ისეთი სახის დაფარული ნაკლი, რომელიც ცნობილია „მეიჯარისთვის“ და აღნიშნულის თაობაზე არ უცნობებია „მოიჯარისთვის";

5.2. „მხარეები“ აცხადებენ და ადასტურებენ, რომ რეგისტრირებულნი არიან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოპოვებული აქვთ ყველა აუცილებელი ნებართვა/უფლება/თანხმობა, რაც აუცილებელია მათ მიერ, „ხელშეკრულების“ გასაფორმებლად და „ხელშეკრულებით'' განსაზღვრული უფლება–მოვალეობების ჯეროვნად განსახორციელებლად/შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარის აღნიშნული განცხადება აღმოჩნდება არასწორი, იგი ვალდებულია, სრულად აუნაზღაუროს ხელშეკრულების მეორე მხარეს აღნიშნულით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი სახის ზიანი/ზარალი;

5.3. მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ და/ან არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას და/ან სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.

5.4. „მეიჯარე“ აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ კანონიერად განკარგავს „იჯარის საგანს“ და მისთვის არ არის ცნობილი „იჯარის საგანთან“ დაკავშირებით მესამე პირების უფლებების გამო პრეტენზიის შესახებ.

5.5. „მოიჯარე“ აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოპოვებული აქვს ყველა უფლება, თანხმობა, ნებართვა ან/და სხვა საჭირო დოკუმენტი „ხელშეკრულების საგნის“ განკარგვისა და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული უფლება–მოვალეობების შესრულებისათვის;

5.6. „მოიჯარე“ აცხადებს და ადასტურებს, რომ „მოიჯარის“ ბრალეულობით ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს „მეიჯარეს“, მის („მოიჯარის“) მიერ განხორციელებული სარემონტო სამუშაოებისა და ყველა იმ გაუმჯობესების ანაზღაურება, რომლითაც გაიზარდა „იჯარის საგნის“ ღირებულება, ასევე ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ „მოიჯარეს“ არ აქვს უფლებამოსილება „მეიჯარეს“ მოთხოვოს მის („მოიჯარის“) და სს სადაზღვევო კომპანია ალფასთან 2019 წელს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული გაუმჯობესების რამე/ნებისმიერი ღირებულება;

5.7. მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ არ მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება მის მიმართ, აგრეთვე მისთვის არ არის ცნობილი მესამე პირთა ისეთი პრეტენზიის არსებობის თაობაზე, რაც დაკავშირებული არის წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობებთან ან/და რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

5.8. „მოიჯარე“ აცხადებს და ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია „იჯარის საგნის“ ნივთობრივი, ვიზუალური, ტექნიკური მდგომარეობის შესახებ და „იჯარის საგანი“ არის ნივთობრივად უნაკლო, ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისთვის და არ გააჩნია რაიმე ისეთი სახის ხილული ნაკლი, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მისი შეუსაბამობა ამგვარი ნივთის მიმართ არსებულ ექსპლუატაციის ნორმებთან.

5.9. მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მეორე მხარისათვის მიწოდებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია უტყუარია და შეესაბამება სრულ სიმართლეს. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული ინფორმაცია აღმოჩნდება არასწორი, არასრული ან შეუსაბამო დამრღვევი მხარე'' ვალდებული იქნება, სრულად აუნაზღაუროს ''მეორე მხარეს'' აღნიშნულით გამოწვეული ზიანი;

5.10. „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის, „მოიჯარე“ აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი („მოიჯარე“) არ წარმოადგენს პირს რომელიც შექმნილია ან რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით (რომელსაც მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება თიზ–ის საწარმო, საერთაშორისო ფინანსური კომპანია, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი, მაღალმთიანი დასახლების საწარმო, სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივი, ვირტუალური ზონის იურიდიული პირი) ან/და რომელიც ახორციელებს საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ სანებართვო საქმიანობას (მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატის სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირი (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მომწყობი პირისა). იმ შემთხვევაში თუ „მოიჯარეზე“ გავრცელდება აღნიშნული სტატუსები, „მოიჯარე“ ვალდებულია არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სტატუსის გავრცელების ან/და შემდგომი გაუქმების შესახებ „მეიჯარეს“ და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს მას შესაბამისი დოკუმენტი. ასევე, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება და პასუხისმგებლობა, ვრცელდება ისეთ შემთხვევაზეც, როდესაც „მოიჯარე“ იძენს/იუქმებს ინდივიდუალური მეწარმის სტატუსს და „მეიჯარეს“ წარმოეშობა საგადასახადო აგენტის ვალდებულება ან თავისუფლდება ამგვარი ვალდებულებისგან. „მოიჯარის“ მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების/ვადების დარღვევის შემთხვევაში „მეიჯარე“ უფლებამოსილია დააკისროს „მოიჯარეს“ ასეთი დარღვევების შედეგად საგადასახადო ორგანოს მიერ „მეიჯარისთვის“ დაკისრებული სანქციები და საურავები.**5.11.** წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ არ წარმოადგენენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში, ოფშორში რეგისტრირებულ პირს, საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ პირს (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა), მიკრო ბიზნესის სტატუსის მატარებელ პირს, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირს ან/და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე პირს. მხარეები ადასტურებენ, რომ აღნიშნული ინფორმაცია უტყუარია. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში აღმოჩნდება, რომ მხარეები ზემოაღნიშნული რომელიმე სტატუსის მქონე პირია ან გახდება, რის გამოც რომელიმე მხარეს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი (მათ შორის საგადასახადო ჯარიმის/სანქციის დაკისრება, გადახდილი თანხის ხარჯებიდან ამოღება და ა.შ.),აღნიშნული მხარე იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს შესაბამისი ზიანი/ზარალი სრული მოცულობით წერილობითი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

6. „ხელშეკრულების“ ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

6.1. „ხელშეკრულება“ ძალაში შედის „მხარეთა“ მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის ამოწურვამდე 1 (ერთი) თვით ადრე რომელიმე „მხარე“ წერილობითი ფორმით არ გამოხატავს ნებას „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შესახებ, „ხელშეკრულება“ ჩაითვლება ავტომატურად 1 (ერთი) წლის ვადით გაგრძელებულად, იმავე პირობებით. აღნიშნული წესი მოქმედებს ყოველი მომდევნო ერთწლიანი ვადის ამოწურვისას.

7. „მხარეთა“ პასუხისმგებლობა

7.1. „მოიჯარის” მიერ „საიჯარო ქირის” გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მეიჯარე” უფლებამოსილია, დააკისროს „მოიჯარეს” პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,3%–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, ვადაგადაცილების წარმოშობის მომენტიდან დავალაინების სრულად დაფარვამდე. თუ „ხელშეკრულების” შეწყვეტისას/მოშლისას აღმოჩნდება, რომ „ხელშეკრულების საგანი“ არის დაზიანებული, განადგურებული, ან/და „მოიჯარის” მფლობელობიდან სხვაგვარად გასული, ან/და „ხელშეკრულების“ შეწყვეტიდან/მოშლიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში „მოიჯარის“ მიერ არ ხდება „იჯარის საგნის“ სრულად დაბრუნება „მეიჯარისთვის“, „მოიჯარე“ ვალდებულია გადაუხადოს „მეიჯარეს“ ჯარიმა ხელშეკრულების ყოველთვიური საიჯარო ქირის ორმაგი ოდენობით, ასევე აუნაზღაუროს „მეიჯარეს“ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებული ნებისმიერი პირდაპირი ზიანი. ჯარიმის და მიყენებული ზიანის გადახდა „მოიჯარემ“ უნდა უზრუნველყოს „მეიჯარის” წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

7.2. „მხარეთა“ შეთანხმებით, პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრება არ გამორიცხავს „მოიჯარის” მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ „მხარის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მეორე მხარისათვის“ მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია აღმოჩნდება არასწორი, არასრული, შეუსაბამო ან მცდარი, „მხარე” ვალდებული იქნება, სრულად აუნაზღაუროს „მეორე მხარეს” და ყველა სათანადო მესამე პირს, ამგვარი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული ყველა შესაძლო პირდაპირი სახის ზიანი. „მხარე“ აგრეთვე უფლებამოსილია, თითოეული ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, დააკისროს „დამრღვევ მხარეს“ პირგასამტეხლო „ხელშეკრულების ღირებულების“ 10%-ის ოდენობით. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს მხარეთა უფლებას და არც ერთ მხარეს არ აქვს ცალსახა ვალდებულება, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლოს გადახდა. ამასთან, პირგასამტეხლოს დაკისრება/გადახდა არ ათავისუფლებს „მხარეს“ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისგან.

7.4. ამ ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს დარიცხვა, თითოეული დარღვეული ვალდებულების შემთხვევაში, ხორციელდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამასთან, პირგასამტეხლოს/ჯარიმის გადახდა, „მხარეებს” არ ათავისუფლებს „ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს მხარეთა უფლებას და არც ერთ მხარეს არ აქვს ცალსახა ვალდებულება, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.

7.6. ვინაიდან „მოიჯარემ“ ამ ხელშკრულებით გათვალისწინებულ ფართში განახორციელა/განახორციელებს სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას (ფართში და ფართის ფასადზე), იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება შეწყდება „მეიჯარის“ მიერ ნებისმიერი საფუძვლით ვადაზე ადრე, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეწყვეტის პირობებისა, ამ ხელშეკრულების მოქმედებიდან 3 წლიანი ვადის გასვლამდე მოიჯარე უფლებამოსილია მოსთხოვოს „მეიჯარეს“, ხოლო ასეთ შემთხვევაში „მეიჯარე“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მოიჯარეს“, „მოიჯარის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართის გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯის სრული ოდენობა, რაც დადასტურდება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ, ექსპერტების დასკვნის ხარჯის ანაზღაურებას უზრუნველყოფს „მოიჯარე“ სრულად, იმ შემთხვევაში, თუ „მეიჯარის“ ბრალეული ქმედებით შეჩერდება ფართის ფუნქციონირება „მოიჯარეს“ ან/და მესამე პირებს შეეზღუდებათ

ფართში/შენობა/ნაგებობაში მისვლის/შესვლის უფლება/შესაძლებლობა, ასეთ შემთხვევაში „მოიჯარე“ თავისუფლდება აღნიშნულ პერიოდში საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისგან

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. „ხელშეკრულება“ და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგება შეიძლება შეწყდეს:

8.1.1. თუ მოიჯარე გახდება გადახდისუუნარო;

8.1.2. თუ მოიჯარე ვერ შეძლებს საიჯარო ქირის გადახდას ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში;

8.1.3. თუ მოიჯარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და აღნიშნული დარღვევა არ იქნება გამოსწორებული წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ორი თვის ვადაში;

8.1.4. „ხელშეკრულების“ ვადის გასვლით;

8.1.5. მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;

8.1.6. თუ „ფორს - მაჟორის“ გამო „მხარეთა” მიერ ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია „ფორს-მაჟორის” დადგომიდან 30 (ოცდაათი) „დღის” განმავლობაში;

8.1.7. წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა დაუშვებელია 3 (სამი) წლის განმავლობაში. ,

8.2. „ხელშეკრულების” შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მხარეებს” „ხელშეკრულების“ შეწყვეტამდე პერიოდზე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9. კონფიდენციალობა

9.1. „ხელშეკრულების“ თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას, მკაცრად დაიცვას და არ გაახმაუროს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მათ შორის პერსონალური, ფინანსური, კომერციული და სხვ. მხარები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და მისი გადაცემა მესამე პირებისთვის შეიძლება მხოლოდ მეორე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონფიდენციალურობის დაცვის პირობა, მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომაც.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „მხარე“ აცხადებს თანხმობას, რომ:

9.2.1. იმ შემთხვევაში, თუ „მხარე“ დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ რომელიმე ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას ან/და იარსებებს „მეორე მხარის“ საქმიანი რეპუტაციის ან/და კანონიერი ინტერესების დაცვის საჭიროება, „მეიჯარე“ უფლებამოსილია, სასამართლოს, არბიტრაჟს, აღსრულების ეროვნულ ბიუროს ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა პირს გადასცეს „მოიჯარის“ შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემის შემცველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

10. ფორს–მაჟორი

10.1. „მხარეები” თავისუფლდებიან „ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან ან არაჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია ისეთი დაუძლეველი ძალის („ფორს-მაჟორის“) შედეგად, როგორიცაა: საომარი მოქმედებები, ამბოხება, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, გადატრიალება, აჯანყება, გაფიცვა, ლოკაუტი, წყალდიდობა, დიდთოვლობა, მეწყერი, მიწისძვრა, მიწისქვეშა წყლების შემცირება, მიწისქვეშა წყლების მიმოქცევა, გრიგალი ან სხვა სახის სტიქიური უბედურება, ხანძარი, აფეთქება, ეპიდემია ან/და სხვა ფორს-მაჟორული გარემოებები;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, ფორს-მაჟორი ან დაუძლეველი ძალა ნებისმიერი მხარისთვის არის ისეთი შემთხვევა ან გარემოება, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად, მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად და შეუძლებელია თავიდან იქნას აცილებული, მიუხედავად მხარეთა გონივრული მცდელობისა და რომლის შედეგადაც, ან რომლის მიზეზითაც, მხარეებისთვის შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. ასეთი შემთხვევით მიყენებული ზიანი მხარეთა შორის ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ამასთან, ასეთი მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ და ყოველგვარ ძალას მიმართავს, იმისათვის, რომ შეამციროს მათი ხანგრძლივობა და შედეგი, ხოლო ამგვარი გარემოებების დამთავრებისთანავე აღადგენს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ფორს-მაჟორული გარემოებები დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ.

10.3. „მხარე”, რომელზეც გავლენა მოახდინა „ფორს-მაჟორმა“, ასეთი გარემოების დადგომიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში ან „ფორს–მაჟორის“ შეწყვეტიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში (რომელიც უფრო ადრე დადგება) ვალდებულია აცნობოს მეორე „მხარეს” „ფორს–მაჟორის” დადგომის ან შეწყვეტის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი „მხარე” „ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, არ განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

10.4. ნებისმიერ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს „ფორს–მაჟორის” სრული აღწერა და მისი გავლენა შესაბამისი „მხარის” მიერ „ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე, ამ გადავადებული ვალდებულებების შესრულების ვადა.

10.5. „ფორს-მაჟორის“ არსებობისა და დადასტურების შემთხვევაში, „მხარეთა” მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გაიზრდება „ფორს–მაჟორის“ ვადის პროპორციულად. ვადის ათვლა განახლდება „ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების შემაფერხებელი „ფორს-მაჟორის“ დასრულებისთანავე. ვადის დარჩენილი ნაწილი გაიზრდება შეფერხების ხანგრძლივობის პროპორციულად. ფორს-მაჟორული გარემოების 2 (ორი) თვით და მეტი ვადით უწყვეტად გახანგრძლივების შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად მოშალონ ხელშეკრულება, მეორე მხარისთვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

11. დავის მოწესრიგება

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

11.2. „მხარეები“ მიიღებენ ყველა ზომას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება გადაჭრილ იქნეს მოლაპარაკების გზით;

11.3. იმ შემთხვევაში, თუ „მხარეები“ ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავას განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება, მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება „მხარეთა“ მემკვიდრეებზე, სამართალმემკვიდრე(ებ)სა და უფლებამონაცვლე(ებ)ზე;

12.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინებები და სხვა კომუნიკაცია უნდა ჩაბარდეს პირადად ან გაიგზავნოს დაზღვეული გზავნილით, ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე. ამასთან, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეეხება „მხარეთა“ რეკვიზიტებს, სხვა მხარე(ებ)ს უნდა ეცნობოს ამგვარი ცვლილებებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წესი არ იქნება დაცული „მხარის“ მიერ და მეორე „მხარეს“ არ აქვს მიღებული შესაბამისი შეტყობინება რეკვიზიტების ცვლილებების თაობაზე, გამგზავნი „მხარისათვის“ ცნობილ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი შეტყობინება დგება წერილობით, ქვემოთ მითითებული შეტყობინების დეტალების თანახმად და ითვლება ჩაბარებულად, როდესაც აღნიშნული შეტყობინება (ა) მიიღო „მხარემ“ პირადად ან საკურიერო/საფოსტო მომსახურების საშუალებით, სადაც მიღების ქვითარს ხელს აწერს მიმღები „მხარის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ან.

12.4. „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ყოველი „მხარე“ თვითონ გაიღებს „ხელშეკრულების“ შესრულებასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკებებთან, „ხელშეკრულების“ მომზადებასთან, აღსრულებასთან და ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით.

12.5. „ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი ცვლილება ან / და დამატება უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მას ხელი მოაწეროს ორივე „მხარემ“.

12.6. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, გაუქმება, უარყოფა ან შეწყვეტა „მხარეთა“ წერილობითი ურთიერთშეთანხმების გარეშე. „მხარის“ მიერ რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

12.7. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე.

12.8. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში, დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო, ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებს;

12.9. „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარსს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსთან (განმარტებასთან) დაკავშირებით, არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

12.10. „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. ნუმერაციაში და მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მითითებაში ცდომილება/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, კონტექსტის შესაბამისად გამოიყენება მითითებული შინაარსის მქონე მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;

12.11. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით.

12.12. „ხელშეკრულება“ შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მეიჯარეს“, 1 (ერთი) ეგზემპლარი - „მოიჯარეს“, ხოლო მესამე - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„მეიჯარე“ - შპს „ნიუ ლოჯისტიკს“	„მოიჯარე“ - შპს „ავერსი-ფარმა“
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“	ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი:BAGAGE22	ბანკის კოდი:BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE29BG0000000161524300	ანგარიშის ნომერი: GE49BG0000000610088800
	ელ.ფოსტა: info@aversi.ge
დირექტორი იოსებ ქოქოლაძე	მინდობილი პირი ანა ფაღავა